საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

ბრძანება

13 02 2020წ. № 44 ქ. თბილისი

„პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2020 წელს წარმოების დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი №2/4) შემოტანილ პროექტთა განმხილველი საექსპერტო კომისიის შექმნის თაობაზე" სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 9.01.2020წ. წლის №2 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/255 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების" მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1.საექსპერტო კომისიის წევრის – დიმიტრი ცინცაძის მიერ, პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების დაფინანსების განმხილველი საექსპერტო კომისიის დატოვების გამო, შევიდეს ცვლილება „პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2020 წელს წარმოების დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი №2/4) შემოტანილ პროექტთა განმხილველი საექსპერტო კომისიის შექმნის თაობაზე" სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 9.01.2020 წლის №2 ბრძანებაში, კერძოდ, შეიცვალოს კომისიის ერთი წევრი და პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2020 წელს წარმოების დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/4) განმხილველი საექსპერტო კომისია ჩამოყალიბდეს შემდეგი შემადგენლობით:

1. ოთარ შამათავა - რეჟისორი;
2. ირაკლი ფანიაშვილი - რეჟისორი;
3. ნინო ძანძავა – კინომცოდნე;
4. ალეკო ჩიღვინაძე- დრამატურგი;
5. დავით ისაკაძე – პროდიუსერი;
6. ლევან კიტია - რეჟისორი

2. დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში- კინოცენტრი) აი-ტი სპეციალისტს თორნიკე ბარდაველიძეს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.
3. ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

საფუძველი: „საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის წევრის - დიმიტრი ცინცაძის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ" საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 13.02.2020 წლის №43 ბრძანება.

დირექტორი გაგა ჩხეიძე